თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1443818

ნომერი: AR1245590

თარიღი : 21.08.2014

გაცემის თარიღი : 25.08.2014

გაცნობის თარიღი : 25.08.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქავთარაძე , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ გიგაური პ/ნ 01017014968
- თბილისი ვაჟა-ფშაველას მე-6კვ.38კ.ბინა43.

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

თქვენი AR1245590 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში ვაკის რაიონში, ქავთარაძის ქ. #8–ში მრავალფუნქციური კომპლექსის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ შემდეგს:
აღნიშნული საპროექტო ტერიტორია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1–ში (სსზ–1).
საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონას, მათ შორის კარკასს. განაშენიანების დომინირებული სახეობის გარეშე (შერეული ზონა);
აღნიშნულ ფუნქციურ ზონაში მოქმედებს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,7;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური  კოეფიციენტი (კ-2) – 3,5;
მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0.1.

იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსი მოიცავს მხოლოდ ერთ მოცულობას ან პროექტის ფარგლებში იგეგმება ტერიტორიაზე არსებული რომელიმე შენობის რეკონსტრუქცია, ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით, შესაძლებელია მიწის ნაკვეთის სამშენებლობლოდ გამოყენების პირობების დადგენა. რისთვისაც განაცხადის დახარვეზებულ ველში უნდა დააზუსტოთ მრავალფუნქციური კომპლექსის შემადგენელი ფუნქციური სახეობები.
ხოლო თუ პროექტის ფარგლებში იგეგმება მიწის ნაკვეთზე არსებული შენობების დემონტაჟი და რამოდენიმე საპროექტო მოცულობის გაჩენა, საპროექტო არეალის მასშტაბის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, სამსახურის პოზიციით, საკითხის განხილვა უნდა განხორციელდეს ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამუშავებით. რასთან დაკავშირებით ამავე განაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა, მოთხოვნის ტექსტისთვის გამოყოფილ ველში დააზუსტოთ მოთხოვნა და ატვირთოთ ნომენკლატურის შესაბამისი დოკუმენტაცია. აირჩიოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები > განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.